№ 53

ოთხშაბათი, 11 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 53

ოთხშაბათი, 11 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დაიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.
ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაშეტიანცი.** 1—1[1]/[2] საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1[1]/[2]—2[1]/[2] ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана*.

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ იქმნა თანამდებობიდგან და სრულიად სამსახურიდგან განჯის გუბერნატორის კანცელარიის გამგის უმცროსი თანაშემწე გუბერნსკი სეკრეტარი მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე; ერევნის გუბერნიის გამგეობის კანცელარიის მოხელე კონსტანტინე თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე თავისისავე თხოვნით.

გ ა მ წ ე ს ე ბ უ ლ იქმნა მღვდლის შვილი ვლადიმირ ჯ ა ვ ე ლ ი ძ ე—მცხეთის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონად.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 11 მარტს, ქალაქის გამგეობის [illegible] დანიშნულია კრება საბჭოს საგანგებო კომისიისა, რომელმაც უნდა დაადგინოს წეს-რიგი საკლავ საქონლის ვაჭრობისა. კრებაზედ მიწვეულნი არიან ბეითალები ბოლოტოვი დაკრიდნერი.

*** გუშინ, 10 მარტს, ქალაქის გამგეობამ დააწერა 1620 მან. გარდასახადი ყავახანებისა და ტკბილეულობის მაღაზიების პატრონებს.

*** ორშაბათს, 9 მარტს, ტფილისის მეორე ნაწილის სავაჭრო ზედამხედველი შევიდა პაპოვის წისქვილში, რომელიც იჯარითა აქვს დანდუროვს და ნახა, რომ ხორბალთან ერთად ფქვამდნენ სიმინდსა და ქატოს. ზედამხედველმა ეს ფქვილიცა და სხვაც, რაც ტომრებში იყო, ყველა დაჰბეჭდა. საქმე სასამართლოს გადაეცემა გასარჩევად.

*** შაბათს, 7 მარტს, კრება ჰქონდათ ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიის წევრთ. კრებამ სხვათა შორის დაადგინა, რომ ცხენის რკინის გზის ვაგონების საზაფხულო მიმოსვლის სიის განხილვისა და დამტკიცების დროს მხედველობაში იქონიოს მუშტაიდის ბაღის ბუფეტის პატრონის ნარიმანოვის თხოვნა იმის შესახებ, რომ [illegible] -ლის ქუჩაზედ ღამის 1 საათამდის იარონ და დაევალოს ქალაქის ტეხნიკოსს თავისი აზრი წარმოუდგინოს კომისიას ხიდის ქუჩის ცხენის რკინის გზის ლიანდაგის გაუკეთესების შესახებ. ამავე კრებაზედ იყო აღძრული ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რაიმე წესდება იქმნეს შემუშავებული უსახელო საზოგადოების ქვემდებარე მოხელეთა და მგზავრების დამოკიდებულების შესახებო, მაგრამ ამ საგნის განხილვა გადაიდო შემდეგის კრებისათვის.

*** გუშინ წინ, 9 მარტს, ქალაქის საბჭოს ჩვეულებრივი კრება ჰქონდა. ამ კრებამ ისე ჩაიარა, რომ საბჭოს არც ერთი საგანი არ განუხილავს და არ გადაუწყვეტია. მთელი სამი საათი ხმოსნებმა უბრალო კამათსა და უმნიშვნელო ლაპარაკს მოანდომეს. ამ კრებაზედ საბჭოს უნდა გადაეწყვიტა საფინანსო კომისიის და გამგეობის შეერთებულის კრების დადგენილების ის მუხლები, ქუჩების საქმის საუკეთესოდ მოწყობის შესახებ, რომელიც წარსულ კრებაზედ არ იქმნა გადაწყვეტილი. თითქმის სამ თვეზედ მეტი იქმნება, რაც ეს მეტად საყურადღებო საგანი წარედგინა საბჭოს განსახილველად და ჯერ კიდევ ვინ იცის რამდენი დრო გავა, [illegible] ბოლოვებულ იქმნება. ან-კი როგორ დააბოლოვებენ, როდესაც ჩვენი საბჭოს „კულტუროსნები“ მეტად სა-

---

## ფელეტონი

### მცირე მოგონება ალექსანდრე ყაზბეგზედ.

(დასასრული *)

ჰავდევ წიგნი და ჩემთა თვალთა წინ აიშალნენ და გაიფინნენ ამ წიგნში აღძრულნი ერთიერთმანეთზედ მაღალნი აზრნი, ერთმანეთზედ დიდებულნი მხატვრობანი, ღრმა ფსიხოლოგიური ცნობანი, კაცთა გულის ცოდვნა, გავლენა და ძალა კაცზედ საზოგადო აზრთა და დატყვევება ამ აზრთაგან ყველასი, ვინც-კი სცხოვრობს ამ საზოგადოებაში; ძალა, კეთილი და ბოროტი მხარე საზოგადო კანონთა და ადათთა (Обычное право), რომელზედაც დღეს ასრე ინტერევენ თავებს მეცნიერნი, რომელთაგანაც ერთნი არიან გატაცებულნი ამ კანონ-ადათთაგან, მეორენი ასწორებენ დედამიწასთან და რომაელთა და იუსტინიანეს კანონთა უხდიან ყველა ხალხთ სამართლისა და სიმართლის იდეალად... მეხატებოდნენ თვალთა-წინ თვითეული პირი ამ წიგნში გამოყვანილნი საკუთარი ბუნებით, ხასიათით, აგებულებით შემოზღუდულნი თვისი შეუშლელი სინამდვილით, მწერლის კალმისაგან გაუბრუნდებლივ, ნანდვილი შესანიშნავი მხარეებით აკრეფილნი და გამოსახულნი... ვხედავდი მაყვალას საშინელს ცეცხლს გულში, მისს ბუნების მოთხოვნილებას, საშინელს ძალას ამ ბუნებისას, და მტარვალობას მაზედ საზოგადო აზრთა, საზოგადო შეხედულობათა. ვხედავდი მისს საშინელს ბრძოლას ბუნების დასაძლევად, რათა დაამონოს ბუნება საზოგადო აზრთ, შეხედულობათ, რომელნიც დედის ძუძუსთან აქვს შეწოვნილი და გულს შთანერგილი, და რომელთაც უნდა შესწიროს თავი, დაასახიჩროს თავისი ბუნება; შესწიროს თავი მას, რაც ხშირად არის აგებული ცრუ-მორწმუნებაზედ, ბუნების გარეგანს და კაცთა გულისა, სულისა და ხორცის შემხუთველს და ბოლოს მომღებს აზროვნებასა და მოთხოვნილებაზედ, რომელნიც ხშირად ჰკლამენ სათავეშივე ბუნების პროგრესიულს მოვლენას, გამოღვიძებას, და უნდა დადგე არა კაცურს, ბუნებისა და საბოლოოვოს მომღებს გზაზედ, გახდე ასკეტი, ბუნების გარეგანი!.. ვხედავდი რაღაცა უხილავი ხელით მოკლულს მაყვალას მეუდაბნოვეს ქვაბში. გაკვირვებს ეს ფარული მკვლელობა, და მხოლოდ, გვიან, როდესაც ჩაიხედავ ღრმად კაცის გუნებაში, ასწონ ვნებათა ღელვას, სიყვარულის უცნაურობას,—სცნობ რომ მკვლელი მაყვალასი არის მისი საყვარელი, რომლისთვისაც გასწირა მაყვალამ თავი, მაგრამ კი არ შესწირა, რომლისთვისაც დაჰკარგა ქმარი, განიდევნა სოფლისაგან, მაგრამ არც გაჰყვა მას, რომელსაც აკუთვნა ბუნებამ ამისი გული, ამისი მთელი არსება... მაყვალა კვდება საყვარლის ხელით, მისგნით თოფში მის მოსაკლავად ჩადებული ტყვიით. და გესმის აქ პასუხი მოუნელებელი ტრფობით გატაცებული გულისა: „უშენოთ სიცოცხლე მე არ შემიძლიან, თუ მე არ მეკუთვნი, ამას შენი სიკვდილი მირჩევნიან და ჩემი საიქიოსაც და საიქიოსაც მოუნელებელი ცეცხლით წამებაო!“ საშინელებაა ეს საქმე, მაგრამ არის ეს ფსიხოლოგიური მოვლენა ძლიერი ბუნებისა, ძლიერი ტრფობისა. ამის შეგნება შეეძლო მხოლოდ ღრმათ ადამიანის გულის მცოდნე ხუდოჟნიკს, კაცის გულში ღრმად ჩამხედველს მწერალს... აქედამ გადადის თქვენი გონება სხვა მხატრობაებთან და იშლება თქვენი გონების წინ სხვა სანახავნი. გესახებათ თვალთა წინ მოხერხებული, დიამბეგობასა და ახალს მაშინდელი დროსათვის წესებში გამოქნილი სულით ხორცამდის გახრწნილი, ზნედაცემული ქმარი მაყვალასი, რომელსაც ყოვლრიგი გარყვნილება და საზიზღრება დიამბეგობის დროს მოფენილი საქმეებისა აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი და ბუნებათ ნაქცევი, ახერხებს და აწყობს ისრე საქმეს, რომ მკვლელად გამოჰყავს მეუდაბნოე *), რადგან იმან შეიკედლა თავის უდაბნოს კლდის ქვაბში მაყვალა და აძლევს ამ წმინდა კაცს სამართალს ხელში. მოსამართლენი, დამყარებულნი მაყვალას ქმრისაგან წარდგენილს და მისგან მოწყობილს საბუთებზედ, ჰსაჯამენ მეუდაბნოვეს, როგორც მკვლელს და ჰგზავნიან ციმბირს. ჰხედავ ყველა ამას და უნებურად გეშლება გონებაში უნუგეშობა იმგვარი მდგომარეობისა, სადაც მოსამართლეს არა აქვს გარემოება, რომ მისწვდეს სიმართლეს, გაიგოს ნანდვილნი საბუთნი, რომლებითაც შეეძლოს საქმის გასამართლება. ძალაუნებურად გეკარგება სასოება, ხდები უიმედო იმ გარემოებაში, როდესაც გასამართლებს კაცი, რომელიც არ იცნობს არც ერს, არც საზოგადოებას, არც პირთ, არც საქმეთ, რომლისაც მოსამართლე ის გამხდარა და რომლისაც ბედი და უბედობა, სახელი და პატიოსნება უნდა ამან გადასწყვიტოს, შემუსროს ან აღადგინოს; როდესაც გასამართლებს კანონი, რომელიც არ არის აღმოცენებული იმ ბუნებიდამ, იმ მოთხოვნილებიდამ, იმ ზნე ჩვეულებიდამ, იმ ბუნებისა და ზნეობის მოთხოვნილებიდამ, სადაც ის სწარმოებს, მოქმედებს და სდებს თვისს მსჯავრს. ხალხი ლოცულობს მეუდაბნოვეს, იცის იმისი სიწმინდე, იმის უმანკოება. კაცს, რომელმაც ქვეყნისგან დევნილი, მშიერი, ტიტველი, ტეხვრა-ზამთარში ველად და მთად უპატრონოდ გაშვებული მაყვალა შეიწყნარა, შეიფარა, შეინახა, გადაარჩინა სიცივისა, ყინვისა და სიმშილისაგან, სიკვდილს და ნადირისაგან შეჰმას,—სამართალი ამ ქალის სიკვდილისათვის ადებს საშინელს ბრალს კაცს, რომელმანც განრიდა თავი ყოვლრიგს მსოფლიურს მღელვარებას, ბიწს, მწიკვლს და მისცა თავი სიწმინდესა და ლოცვებს, გახდა მეუდაბნოვე განდეგილი... ხალხი ჰხედავს ამას, იცის თავისი სალოცავი განდეგილის ცამდის სიმართლე, მაგრამ რა უშველოს?.. განა საშინელი ტრაგიზმი არ არის ხალხისა, როდესაც ისა ჰხედავს, რომ მის პირველს უწმინდესს კაცს ჰსჯიან უსამართლოთ ცრუ საბუთებით?.. ყველამ იცის მისი სიმართლე, გარდა მსაჯულთა, რომელთაც ყველაზედ ადრე უნდა სცოდნოდათ ეს... და ბევრს და ბევრს ამგვარს ფიქრებს, გულის შემძრწუნალთ აზრთ აღძრავს მკითხველის გულსა და გონებაში წიგნის ესა და ამგვარნი ალაგნი. და აქ არის ალაგი ხუდოჟნიკის ძალისა, მისი ნახმარი ტელესკოპისა... რაკი ხალხი უღონოა იხსნას უსამართლო სასჯელისაგან თავისი სათაყვანებელი კაცი, ისა ჰყრილობს ჯავრს საშინელს და საზიზღარს მაყვალას ქმარზედ. და აქ გადაჰყევხართ ხუდოჟნიკს სხვა და საშინელს და შემაზრზინარს სანახავზედ, რომლისაც მსგავსი არამც თუ ჩვენს მწერლობაში და უცხო მწერლობაშიაც ძვირად რამ დახატულა. აქ ჰხედავთ გაღვიძებულს ხალხის მრისხანებას და ძველს სათემო სამართალს, მის განაჩენს, განაჩენის შესრულებას. ჰხედავთ საშინელს საქოლავს. და საზაროა ეს საქოლავი „მოძღვარის“ ავ[...]

*) იხ. „ივერია“ № 52.

(*) ამ მეუდაბნოვეს ყაზბეგი ეძახის მოძღვარს. ცხადია ყაზბეგს არა სცოდნია, რომ მეუდაბნოები არა ყოფილან არასოდეს მოძღვრებათ, ისინი არიან განდეგილნი სოფლიდამ უდაბურს ალაგებში, რათაც ეწოდებათ მათ მეუდაბნოვე.

ყურადღებო საგნებს განხილვისა და ქალაქის საქმეების მოწყობის ნაცვლად მთელ დროს ქანდარაზედ მყოფ საზოგადოების თავის საქებად და მოსაწონადა „ორატორობას“ ანდომებენ.

*** კვირას, 8 მარტს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში წაიკითხეს სახალხო ლექციები პ. რ. პრიტულენკომ—დედა-ფუტკრების შესახებ, დ. მ. როსინსკიმ—აბრეშუმის შესახებ და ა. ა. ქალანტარმა—რძის შესახებ. ამ ლექციების მოსმენის ფასი 10 კაპ. იყო. ხალხი საკმაო დაესწრო. ასეთი ლექციები წაკითხულ იქმნება მომავალ კვირასაც. სხვათა შორის ბ-ნი ქალანთარი წაიკითხავს კარაქის, ყველის და სხვ. მომზადების შესახებ.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ტფილისში არსდება ბეითალთა საზოგადოება. დამაარსებელთ უკვე შეიმუშავეს წესდების პროექტი და მალე წარადგენენ.

*** ქუთაისი. ოთხს მარტს ქალაქის თეატრში ახალგაზდა არტისტი ქალის ნ. პ. ჩხეიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს შექსპირის დრამა „რომეო და ჯულიეტა“, ნათარგმნი ახალგაზდა არტისტის თ. შალვა დადიანის მიერ. ხალხი საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას. მობენეფისე მრავალის საჩუქრით დააჯილდოვეს.

*** ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 28 მარტს და გასტანს 23 მაისამდის.

*** ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია შუამდგომლობს ადგილობრივის უმაღლესს მთავრობის წინაშე 10,000 მან. გადადების შესახებ, რომელიც უნდა მოჰხმარდეს მდ. მაჯარასა და გუბის წყალზედ გასაყვან ხიდებს ძველის გაფუჭებულის ხიდების მაგიერ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სწერენ ქუთაისის მაზრის დ. ხონიდგან, რომ როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, საერო განათლების ახალი მინისტრი თანაგრძნობით მიეგება ხონის პირველ დაწყებითი დედათა სკოლის მარიამის დედათა სასწავლებლად გადაკეთების აზრს და ამიტომ ეს საქმე მალე იქმნება განხორციელებულიო.

*** იმავე გაზეთს სწერენ ქალაქ ქუთაისიდგან, რომ ქუთაისის გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 12 თებერვალს არტისტების ვ. ს. ალექსი—მესხიშვილის და კ. დ. ყიფიანის და სცენის მოყვარეთა მ. გ. ანჯაფარიძის, ლ. გ. ანჯაფარიძისა, ვლადიმიროვისა, ეგოროვისა, დიმიტრიევისა, საგორდას, სერგეევისა, ფილიპოვიჩისა, მანუილოვისა, ეგოროვისა, სუხოვისა და როსსიკის დახმარებით გამართულ წარმოდგენას შემოსავალი ჰქონდა სულ 586 მანეთი. აქედგან დაიხარჯა 163 მანეთი, დანარჩენი, 423 მანეთი დანიშნულებისამებრ გარდაეცაო.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ შეკეთებულ იქმნას ახალციხის მაზრის აწყურის ხიდი მდ. მტკვარზედ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ამიერკავკასიის სამის წლის(1898 წლიდგან)საეროობო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი განიხილა სახელმწიფო საბჭოს საეკონომიო დეპარტამენტმა და ამ ახლო მომავალში წარედგინება იმავე საბჭოს წევრთა საერთო კრებასაო.

*** სოფ. წესი (რაჭის მაზრა). კვირას, 22 თებერვალს, საქართველოს მეფის ერეკლეს სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გარდაიხადა ადგილობრივმა მღვდელმა ვლადიმერ მესხმა. წირვის შემდეგ მამა ვლადიმერმა დამსწრე ხალხს განუმარტა მეფის ერეკლეს მნიშვნელობა და იმის მოღვაწეობა საქართველოსათვის. სიტყვა ხალხმა დიდის სიამოვნებით მოისმინა. ბევრმა მოხუცებულმა მდუღარე ცრემლიც-კი გადმოაბნია.

*** 9 მარტს, მე-9 პოლიციის ნაწილში, მიხეილის ქუჩაზედ, ბასინოვის მდგმურის კბილის ექიმის ლეოპოლდ შტრეიხერის სახლიდგან ვიღამაც მოიპარა 40 მან. ღირებული შუბა და მიიმალა. ქურდს პოლიცია დაეძებს.

*** 9 მარტს, ნაშუადღევის 5 საათზედ, ტფილისის მცხოვრებელმა არუთინ ხეჩატუროვმა და ერევნის მცხოვრებელმა იუზბაშევმა სხვა-და-სხვა ნივთები მოიპარეს ქვრივის მატრონა სუდაკოვის სახლიდგან. ქურდებს სახლიდგან გამოსვლისათანავე პოლიციის მოხელე დაჰხვდა და დააპატიმრა.

*** 9 მარტს, ავჭალის ქუჩაზედ, პოლიციამ შეიპყრო ვიღაც ჯარის კაცად ნამყოფი, რომელსაც თან დაჰყავდა 12 წლის ქალი იუსტინა დუბინინი, რომ ეგება ფული მომცეს ვინმე და იმას მივყიდოო. ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს.

*** 8 მარტს, ნაშუადღევის $12\frac{1}{2}$ საათზედ, თითს „ვოდოვოზნის“ ქუჩაზედ, შვანბეგის სახლში გიჯინის სადგომიდგან მოიპარეს თავ. ნ. დ. აბაშიძის საზამთრო პალტო, ღირებული 70 მან. პოლიცია ქურდის ძებნას შეუდგა.

---

## დიდუბე და მისი გაჭირვებული მდგომარეობა

დიდუბე, როგორც უწყით, დიდი და ფართო უბანია. იგი მდებარეობს მუშტაიდიდგან დაწყებული მტკვარსა და რკინის ლიანდაგს შუა გერმანელთა ახალშენამდის, ქუჩები ექვს საჟენზე ნაკლებისა არა აქვს სიგანით და სახლი ათასამდეა, რომლებშიაც ორ-სამ კომლზედ ნაკლებ აღარა სდგას. არის აქ რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელიც. სულ ცოტა, დიდუბეში ათი ათასამდე მცხოვრები იქნება და, წარმოიდგინეთ-კია, დღემდის არავინ შესულა იმათ მდგომარეობაში და არ მოსაზრებიათ მათი დახსნა დიდუბის ტალახისა და ლაფებისაგან... რამდენჯერმე უცნობებიათ გაზეთითაცა და სიტყვიერადაც თავიანთი გაჭირვება და უთხოვნიათ დახმარება, მაგრამ მაინც არავის გაუცხელებია იმათთვის თავი. არა, თუმცა-კი ისეთი გავლენიანი მცხოვრები არ არიან, როგორც სოლოლაკის მცხოვრებნი, მაგრამ, მე მგონია, რომ უფლება ქალაქში ერთი და იგივე უნდა ჰქონდეთ ყველას გაურჩევლად, ხოლო, ჩვენ და საუბედუროთ, ეს ასე არ არის. აბა დაათვალიერეთ სოლოლაკის უბნები და შემდეგ გაისარჯეთ და წაბძანდით დიდუბის დასათვალიერებლად. გადაავლეთ თვალი, დილიდგან მოყოლებული საღამომდის რა უბედურება ტრიალებს: ზოგან ფურგუნის თვალია ჩაფლული, ზოგან შუა გზაში გაჩერებული ბავშვი სტირის და არ იცის საით გაიაროს, კალოშებს ხომ გზა და გზა შეხვდებით ჩაფლულებს ტალახში. ამბობენ, ერთი ვაჭარი საგანგებოდ დადის, ამ კალოშებს აგროვებს და ჰყიდისო.

ეს კიდევ რა, ასე გასინჯეთ, წყალი ხომ დიდუბეზედ მოდის, წყალის ონკანიც-კი ერთი არის მთელს უბანში და, წარმოიდგინეთ, რა გაჭირვებული იქნება ორი ვერსის მანძილზედ წყლის ზიდვა. რათა, რისთვის უნდა იყოს ასე? ნუთუ დიდუბე ქალაქს არ ეკუთვნის? თუ არ უკუთვნის, მაშ რაღად ეწევა უღელს ხარჯისას?

ათი წელიწადია ათას ორას თუმანზედ მეტი შედის წელიწადში დიდუბიდგან ქალაქის გამგეობაში და აბა რა მოხმარებია დიდუბეს? ვთქვათ, წელიწადში ფარნებზედ (ისიც ხომ ათში ერთი არ ანთია ხოლმე) ასი თუმანი დაიხარჯოს, ქუჩის მცველებისათვის (სულ სამია დიდუბეში), რომელთაც მხოლოდ აღდგომას და ახალ წელიწადს ჰხედავენ სახლის პატრონები—იმათ ჯამაგირებს, რომ მივუმატოთ სხვა-და-სხვა საპოლიციო ხარჯი, ორასი თუმანი წაუვიდეს, ქუჩის დამგველებს (თუმცა-კი სულ არ მინახავს დიდუბეში ეს ორი წელიწადია და თუ თვალი მომიკრავს, ისიც მაშინ მხოლოდ, როდესაც დოლი იმართება ხოლმე, ამ დროს მარტო ერთ ქუჩას ასწორებენ და ასუფთავებენ ხოლმე) ოცი თუმანი დასჭირდეთ და გამგეობის ხარჯიც დიდუბის წილად 3,000 მან. მივიდეთ, ქალაქს, ვთქვათ, სულ ეხარჯებოდეს 6,200 მანეთი. დანარჩენი თითქმის ნახევარი სადღა მიდის?

ნუ-თუ არ შეიძლებოდა, ყოველს წელს დიდუბიდგანვე შესული ფული ორასი თუმანი მაინც მოეხმარებინათ ამ უბნისათვის და მოეკირწყლათ

---

კალმით დახატული. თვალთა წინ გიდგიათ ხალხის მღელვარება, ხალხის მრისხანება, შეუბრალებლობა, გულქვაობა, აგებული საქოლავი და ცოცხალი კაცის შეუბრალებლად ჩაქვავება!..

ესა და ამგვარი სანახაობანი გაიშალნენ ჩემთა თვალთა წინ, რომელთაც ვრცლათა და უფრო ცხოვლად აღწერა ამ მოკლე წერილში შეუძლებელია, და შევეკითხე ჩემს თავს: ნუ-თუ ეს არის ნაღვაწი ჩვენი სანდროსი, ჩვენი გზა-დაკარგული, ქალთა-კუდა, უვიცი, გონება გაუხსნელი სანდროსი მეთქი? იქნება სხვა ჩვენი ავტორებივით,—ვფიქრობდი მე,—იმანაც მოჰპარა ვისმე უცხო ევროპიელს სახელოვანს მწერალს ეს ნაწერი და ჩვენ გვაძლევს, როგორც საკუთარს ქმნილებას? ჩავაფიქრდი წიგნს, და არაფერი, არაფერი უცხო არა ერია-რა ამ წიგნში. ამისი დაწერა შეეძლო მხოლოდ მოხევეს, ჩვენს მთიულს, ჩვენს მთებში აღზრდილს, ჩვენი მთისა, ხალხისა და ბუნებისა ღრმათ მცოდნეს, დიდის ხნის მკვლეველს, კაცს ჩაკვირვებულს, ჩვენი გარემოებაების მცნობს, და სხვას არავის. უცხოველს, ევროპიელს ეს არ შეეძლო. არ შეეძლო ქართველსაც, თუ არ იყო მთის შვილი, აღზრდილი ამ ხალხსა და ქვეყნებში, არ ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი მათი ზნე-ჩვეულება, ადათი, ხასიათი. მხოლოდ თვით განდეგილი, რომელსაც ყაზბეგი ეძახის მოძღვარს, მკითხველს ეუცხოვება, ეჩიჩავება თვალში, შეარდგენს დღევანდელი და იქნება გუშინდელი ჩვენი ცხოვრების დისონანს. ეს ბოლოს თვით ყაზბეგმაც აღვიარა და მითხრა, რომ ეს ტიპი ჩამრჩა გულში ერთი პოლონელი ავტორიდამ, და, რაკი რომელიმე გარემოებისთვის საჭირო იყო, შევიტანე ჩემს რომანში ისრე გადაუხალისებლათაო...

მე მაშინვე გამიარა თავში გამერჩია ეს შესანიშნავი რომანი დაწვრილებით. მაგრამ შევდექ. იყო მრავალი მიზეზი, რათაც უნდა შევმდგარიყავ, მინამ გარემოება არ შემიწყობდა ხელს.

იმავე დილით გავექანე ყაზბეგისაკენ. ის დამიხვდა რედაქციის კარებთან. მე აღტაცებით ვეცი იმას და დავუწყე კოცვნა. სანდროს სიამოვნებისგან მოერია თვალებში ცრემლი. იმას არა სჯეროდა, რომ მე, ანტონ ფურცელაძე, იმისი ნაწერებით ასრეთს აღტაცებაში შევიდოდი.

ბოლოს მე და სანდრო დავახლოვდით და დავმეგობრდით... სანდრო გახდა ჩემი პატივის მცემელი, როგორც მე იმისი... სანდროს ამ ქამათ შეეპარა შეშლილობა.

ერთმა ჩვენმა მწერალმა ერთს თავის რეცენზიაში თუ, არ მახსოვს, ფელეტონში სთქვა: მინამ დურაკი ვიყავ ნიკოლაძესა და ფურცელაძესა ვცემდი თაყვანსაო, როცა დავჭკვიანდი, მაშინ უკეთესები ვიპოვნე და მათი თაყვანის მცემელი გავხდიო. იქნება საწყალს ყაზბეგსაც ჩემთან დაახლოვება და ჩემი პატივის ცემა სიგიჟით მოუვიდა!?.

ვანებოთ თავი ნადურაკლებს და მსგავსთ. გადავიდეთ ისევ ყაზბეგზედ. უეჭველია ამ წერილის უკან მკითხველს აღეძვრის გონებაში კითხვა: როგორ მოხდა, რომ კაცმა, რომელსაც არც ცოდვნა, არც გონების გაღსნილობა, არც გამზადება არა ჰქონდა, შეჰქნა ამგვარი მაღალი თხზულება?

ეს ფიქრი, როგორც ზემოთაცა ვთქვი, მეც მომივიდა და მომდიოდა თავში ყაზბეგის ზოგიერთა ნაწერების წაკითხვის დროს.

მართალია, ამგვარი დიდებული აზრებითა და ცხოვრების ცოდვნით სავსე წიგნისათვის საჭიროა დიდათ გონება გახსნილი და მცოდნე კაცი, მაგრამ ხშირად დიდებულს ნიჭს ბევრი რამ შეუძლიან. წაიკითხეთ დავით ხიზანაშვილისაგან გამოცემული ფშაური ლექსები, ჩააკვირდით იმათ ღრმა აზრთა, მათს დიდებულთ მხატრობათა, ჩააკვირდით ხალხის ანდაზებს, თქმულებათა, არაკთა, ბუნების დაკვირვებას და დაინახავთ, რა შესძლებია თვით უბრალო უწიგნო მდაბიო კაცის დიდს ნიჭს, ძლიერს გონებას. ზოგჯერ დიდი ნიჭისთვის საჭიროა მხოლოდ ნაპერწკალი, რომ აღიგზნას მისი გონების ცეცხლი და გამოსცეს ნათელი, კაცის მასულდგმულებელი სიცხოველე. ზოგჯერ საკმაოა დიდმა ნიჭმა მხოლოდ ყური მოჰკრას, გაიგონოს, დაინახოს მაღალი და დიდი საქმე, საქმის სათაური, საქმის წვერი, რომ გახსნას მისნი ნასკვნი, მოხსნას გორგალს წვერი, გაშალოს მისნი ძაფნი და აქციოს ძვირფას ქსოვილად. ყაზბეგი არც ისრე უცხო იყო მაღალთა აზრთა, რომ მათთვის ყური არ მოეკრა, და არ ჩანერგილიყვნენ მის გულში ამაზრთა ძლიერებანი. ის კარგა ხანსა სცხოვრობდა ერთათ სოფლად თავის ბიძაშვილ დიმიტრი ყაზბეგთან რომელიც მესამოცე წლებში მთელი პეტერბურღის უნივერსიტეტში, არამც თუ ქართველთა შორის, და თვით მთელი სტუდენტობის შორის ითვლებოდა როგორც ცოდვნით, გონების გახსნილობით, ეგრეთვე ჰკუიან ერთ საუკეთესო და დაწინაურებულ სტუდენტათ, და რომელმაც შესწირა თავი თავის აღებულს იდეებსა, ხალხის სამსახურს, ხალხის შესწავლას და სიკვდილამდის არ უმტყუნა მას. ცხადია იმას უნდა ჰქონოდა სანდროს გონებაზედ განვლენა. ყაზბეგში ცხადია იფარებოდა ძლიერი ნიჭი, ჩამქრალი უვარგისი, ღიდკაცური აღზრდილობით, მაგრამ ერთმა-ორმა გონივრულმა წიგნმა, გონივრული აზრების გაგონებამ, მათზედ მსჯელობის მოსმენამ იპოვეს მის ნიჭში ბუდე და გაიდგეს შიგ ფესვები. მოჰკიდა კალამს ხელი, გაიღვიძა ნიჭმა, მოვიდა მოძრაობაში, და გადიშალნენ მის წინ ცხოვრების ძარღვნი, ცხოვრებისა და ხალხის გულის სირღმეში ჩამარხულნი მოძრაობანი და საქმენი, და ძლიერმა ნიჭმა ამოჰკრიფა ისინი თვისი სიღრმიდამ, აჰხადა ფარდული და გადაშალა ქვეყნის წინ ნანდვილი ცხოველი და ცხადი მხატვრობაებით. ეს არის ძალა დიდ-ნიჭიერებისა. მიეცი ამ ნიჭთ შესაფერი სწავლა, გონების გახსნილობა, შრომის მოყვარეობა, სახსარი შრომისა, შთაუნერგე გულს ქვეყნის სიყვარული, ქვეყნისთვის თავის გაწირვა, და ისინი ხდებიან მნათობნი სოფლისა, წარმმატებელნი ქვეყნისა, სახელნი და დიდებანი კაცობრიობისა. და დურაკებსა და უნიჭოთა, რავდენიც გინდა ასწავლო და წრთვნა, რაც გინდა ბევრი უბერტყო თავში ღრმა აზრნი და ცოდნანი, მაინც თუთიყუშის ძახილის იქით ვერ წავა მათი გონება და ცოდვნა.

ძალა და ძლიერება ყაზბეგის ნაწერთა აიხსნება ამ გვარი მისი ცხოველი ნიჭით, რომლისთვისაც საკმაოა მცირის დანახვა და ყურის მოკვრაცა, რომ აჰკრიფოს იგი მისმა კალამმა. ხშირად ესეც მოხდება, რომ დიდი ნიჭის პატრონი სწერს და მისდა აუწონავად, გამოურკვევლად იხატება სახე, რომელსაც თვით ავტორი ვერა სცნობს გარკვევით, და ვერც აძლევს თავს ანგარიშს მისგნით გამოყვანილი სახისა და მოვლენათა, მის გამო ისინი მის ნაწერში ვერ გამოსჭვირან ისრე ნათლად, რომ ყველა მკითხველი მიხვდეს მას, და აქ ვალია კრიტიკისა გამოარკვიოს ეს სახე და მოვლენანი და მიაქციოს მათზედ მკითხველის ყურადღება, რათა მითი შეიტანოს მკითხველის გულსა და გონში აზრნი, რაც გამოდის იმ ნაწერებიდამ და ჩააკვირვოს მათს მნიშვნელობას.

ანტონ ფურცელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდუბის ქუჩები? განა უფრო ფასი არ დაედებოდა დიდუბის სახლებს და უფრო უმჯობესი არ იქმნებოდა ქალაქისათვის, მეტი შემოსავალი არ ექმნებოდა იქიდგან? კარგი იქმნებოდა, მაგრამ ნებით არასურთ და ძალას აბა ვინ დაატანს? ამას წინადაც მიართვეს თხოვნა ელისაბედისა და შერემეტიევის ქუჩების მოკირწყვლის შესახებ. ამ საქმეს თავის მხრივ გერმანელთა ახალშენიც დახმარებას უწევდა. ხარჯის გარდახდას რვა წლის განმავლობაში ჰკისრულობდნენ დიდუბელი სახლის პატრონები, მაგრამ ჩვეულებისამებრ უარი მიიღეს.

იმედია, ქალაქის ახალი მოურავი ბ-ნი ევანგულოვი მაინც მიჰხედავს დიდუბელების გაჭირვებას და უწამლებს რასმე იმათს სატკივარს, რითაც, რასაკვირველია, საუკუნო მადლობას დაიმსახურებს.

ს. დიდუბელი

## ქუთაისის ქალაქის საბჭო.

2 მარტი

კრება დაიწყო საღამოს ცხრა საათის ნახევარზედ. მდივანმა წაიკითხა წარსულის სხდომის ოქმი, რომელიც საბჭომ შეუცვლელად დაამტკიცა. ხმ. თ. კ. ლორთქიფანიძე აცხადებს სურვილს, რომ საბჭოს სხდომები დაინიშნოს ხოლმე რვა საათზედ და არა შვიდზედ, როგორც აქამდის იყო. საბჭო თანხმობას აცხადებს.

ქუთაისის გუბერნიის საპატიმროების სამზრუნველო კომიტეტის სურვილის თანახმად ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა მისცეს ამ კომიტეტს შეშისა და განათების ფასად ამა მდგომარე 1898 წლის განმავლობაში 3,000 მანეთი.

გამგეობამ მოახსენა საბჭოს პურის ნიხრის გამოცვლის შესახებ. წევრი გამგეობისა ბ-ნი ი. გ. ჩიმაკაძე კითხულობს რუსეთიდგან მიღებულს დეპეშებს, საიდგანაცა სჩანს, რომ იქ ფქვილის ფასი აწეულა. ხმ. ბ. გველესიანი ამბობს, რომ მაგ დეპეშებს ნუ დავერწმუნებით, რადგან ფქვილის პატრონის ინტერესია, მეტი ფასი შემოსთვალოსო. ქუთაისში მცხოვრები ფქვილის ვაჭარი ეზიკოვი ნაკლებ ფასად ჰყიდის ფქვილს, ვიდრე მაგ დეპეშებშია გამოცხადებულიო და სთხოვს ქალაქის მოურავს, დაიბარეთ ეზიკოვი და ჰკითხეთ ეს გარემოება. ქალაქის მოურავმა დაიბარა ეზიკოვი, რომელმაც გველესიანის აზრი დაამტკიცა. საბჭომ ფქვილის ნიხრი უცვლელად დასტოვა, ე. ი. პირველი ხარისხის გამომცხვარი პური 5 კაპ., მეორესი —4-დ და მესამესი—3-ად. გველესიანი სცდილობდა კიდევ განეგრძო ამ საგნის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ქალაქის მოურავი ნებას არ აძლევდა. გველესიანი არა წყნარდებოდა. ქალაქის თავი დაემუქრა, რომ ლაპარაკის ნებას არ მოგცემთო. ბ-ნი გველესიანი აღელვებული გავიდა საბჭოდგან.

შემდეგ ქალაქის თავმა მოახსენა კრებას ტფილისის საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ თუ პოლიტეხნიკუმი დაარსდა ტფილისში, ქუთაისი რა შემწეობას მისცემს ამ დაწესებულებას, და მოკლედ აუხსნა კრებას, რა დიდი მნიშვნელობა ექმნება პოლიტეხნიკუმს ჩვენის ქვეყნისათვის.

ხმ. თ. გ. ა. ლორთქიფანიძე. რადგან ჩვენი ქალაქი ფულით მეტად ღარიბია, ურიგო არ იქნება, რომ უბაჟოდ დავუთმოთ პოლიტეხნიკუმის შენობისათვის ეკლარის ქვა, რომლითაც სარგებლობდნენ ტფილისის სამხედრო ტაძრისა და თეატრის აშენების დროსაო.

ხმ. თ. ზ. ა. თუმანიშვილი არ ეთანხმება ამ აზრს იმ მოსაზრებით, რომ რაკი პოლიტეხნიკუმისათვის ეკლარის ქვას უბაჟოდ დავუთმობთ, მაშინ ამ ქვის იჯარადარი აღარ მოგვცემს იმდენს იჯარას, რამდენსაც ეხლა იძლევა და ამით ქალაქი დიდ ზარალს ჰნახავსო, უმჯობესი იქმნება, ყოველწლივ ათასი მანათი ვაძლიოთ პოლიტეხნიკუმსაო. საბჭომ ეს უკანასკნელი აზრი შეიწყნარა.

## წერილი გორიდგან.

ლიახვის პირად, ციხის დასწვრივ, დამბა გაუარეს; ამ საქმეს თითქმის ბოლო ელება, თუმცა ქალაქის თვითმმართველობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. თვით ბ-ნმა გულიშამბაროვმა ისე უფერულად და უმადლოდ გაატარა სამოურავო სამსახური, რომ, სამართლიანის საყვედურის გარდა სხვა ვერაფერი დაიმსახურა. გ—ვი რომ ქალაქს ვერ უპატრონებდა, ეს ყველასათვის აშკარა იყო, მაგრამ საუბედუროდ, მაინც კიდევ პიროვნულმა ანგარიშებმა ისაია მეთორმეტე კლასის თანამდებობაში გამოჰკიმეს. რა თქმა უნდა ამორჩევის დღიდგანვე გ—ვი და მისი თანაშემწე ნიკოლოზა ერთგულად ებრძვიან საბრალო სამმართველოს კასსას, რომლიდგანაც ყოველ თვე ჯამაგირს ინაღდებენ. სხვაფრივ-კი ამ უმანკო არსებათ არა გაუკეთებიათ-რა, თუმცა ყოველ შემთხვევაში ერთმანეთს ულოცავდნენ: ღმერთმა კეთილად შეგვასრულებინოს ქალაქის მოვალეობაო.

ასე გასინჯეთ, გორელ ყასბებისა და მეფურნეების თავ-გასულობა ყოველ წრეს გადასცილდა და ქალაქის წარმომადგენელნი ამას უყურადღებოდ სტოვებენ. თუ ძალიან გასჭირდა საქმე, ისევ, მეტი ღონე არ არის, ყასბებისა და მეფურნეების ასალაგმავად გორელებს მეიდანზედ გამოჰყავთ „ნიკალაი“ („ბაზარნიკი“). თუმცა სამსახურის ვადა ქალაქის წარმომადგენელებს ამ მომავალ ზაფხულში უთავდებათ, მაგრამ, როგორც შევიტყეთ, ბ-ნი გულიშამბაროვი ვადამდე აღარ დარჩება სამსახურში. ამბობენ, იგი თავისს თანამშრომელ ნიკოლოსასაც უკან გაიყოლიებსო. ამ სასიამოვნო ამბის აღსრულება რაც ადრე და მალე მოხდება, უმჯობესია, რადგანაც უილბლო გორი, მოსალოდნელია, ადიდებულმა ლიახვმა მოიტივტივოს და საჭიროა ქალაქის საქმეებს განაგებდეს სარისტიანი და გამჭრიახი ადამიანი. იკითხავთ, რა მიზეზია, რომ იგი თავს ანებებს სამსახურსო? ამის მიზეზს დაჭეშმარიტებით ვერ დავასახელებთ, მხოლოდ ერთი გარემოებაკი გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ბ-ნ სტაროსტას გეგმა შეუდგენია ხელახლად ამორჩეულ იქმნას სტაროსტის თანამდებობაზედ.

ამ ხუთის წლის წინედ ბ-ნმა გულიშამბაროვმა მიჰყიდა სამოც-დაათ თუმნად ტ. მამალაძეს სოფ. ბერბუკის მახლობლად მდებარე სახნავი მიწები, რომელთ საზღვრებს შეადგენს გორელ კათოლიკეთა სახნავები. ორი ამ ქართველ კათოლიკეთაგანი მოსნად არიან, რომელთ ხმოსნობასაც ვერას გზით ვერ ინელებენ ზოგიერთნი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, გ—მა ქალაქის საბჭოს მოახსენა, რომ ეს მამულები ქალაქის საკუთრებას შეადგენს, გარდა ამისა, მე მ—ძეს მივყიდე მამიჩემის მიერ დაჩემებული ქალაქის საკუთარი მამულიო. ეს ამბავი დღევანდლამდის არ ვიცოდი და ახლა თქვენ იცით, როგორ განაჩენსაც დაადგენთო. რასაკვირველია, ხმოსანთა კრებამ დაადგინა ქალაქს დაუბრუნოს დაჩემებული მამულები და საქმე სასასამართლოდ გახდა, თუმცა-კი უსაფუძვლოდ.

შაურა

## წერილი ფოთიდგან

მოახლოვდა ის დრო და ჟამი, როდესაც ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ უნდა მოიწვიოს წლიური კრება. კრება 22 მარტისათვის არის მოწვეული. გაუვიდა ვადა ერთ დირექტორთაგანს. სამწუხაროდ, ამ საზოგადოების საქმე ამ ბოლოს დროს ცუდად წარიმართა.

მოკლედ გავეცნოთ ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წარსულსა და აწმყო მდგომარეობას: 1875 წელს 14 ღვინობისთვეს დაიწყო ამ საზოგადოებამ თავისი მოქმედება. ჯერ კიდევ როგორც ახალ დაბადებულ საქმეს, წელი ვერ გაემაგრებინა, როდესაც აპრილში 1876 წელს ოსმალეთთან ომიანობა ჩამოვარდა, ამით შეშინებული ფოთიდგან ბევრი გაიქცა და მთელი ქალაქი გაიწმინდა ისე, რომ აქ არც ერთი დაწესებულება არ დარჩენილა. ბანკის ჰირისუფლებმაც თავისი საქმე ტფილისის საკომერციო ბანკს მიაბარეს აღსაზრდელად. როცა ომიანობის შემდეგ საქმეები უკან ჩაიბარეს, აღმოჩნდა, რომ ყოველ საწევრო 100 მანეთს 2 მ. და 60 კ. ეზარალა. 1878 წლიდგან-კი იწყება ნამდვილი მოქმედების ხანა და მისი საქმეებიც იწყებს ზრდას. ასე რომ პირველ ხანებში დივიდენდი ყოველ 100 მანეთისა შეადგენდა 5%—6%—8%. საზოგადოება 1881 წელს აორკეცებს საწევრო შესატანს და მოქმედება საზოგადოებისა ერთი მილიონიდგან 1888—89 წლებში ადის 15,251,141 მან. და 90 კაპეიკამდის. ძირის თანხა, რომელიც დაარსების დროს 10,000 მანეთს შეადგენდა, 1889 წლამდის გაიზარდა 71,400 მანეთამდის, და ამისავე სათადარიგო თანხაც 15,626—42 კ. შეადგენდა. ამ დროს ყოველ წლივ წევრნი იღებდნენ 10%—12% და ზოგჯერ 14% დივიდენდს.

ასე კარგად მიდიოდა ბანკის საქმე 1892 წლამდის, ხოლო ამ უკანასკნელ წლებში-კი, საზოგადოების საქმემ კოჭლობა დაიწყო, 1896 წელს დივიდენდი 3,38%-მდის ჩამოვიდა და ისიც იქვე თანხის გასაძლიერებლად დარჩა. რაც შეეხება 1897 წლის დივიდენდს, ამის შესახებ წინ და წინ არას ვიტყვით, ამას წლიური კრება და ანგარიში გვიჩვენებს, რომლის ამბავსაც მკითხველს დაწვრილებით გავაცნობთ.

კ. გამეზარდაშვილი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბუგეული, (რაჭის მაზრა).** ბუგეულის საზოგადოებას შეადგენს თითქმის 1,500 კომლი გლეხ-აზნაური. ამ დიდს საზოგადოებაში არსებობს ერთადერთი აფთიაქი, რომლის შემოსავალი, თუ საზოგადოების სიდიდით, შეძლებით და მკვიდრთა ჯან-მრთელობის მიხედვით გავზომავთ, დღეში შვიდ-რვა მანათს უნდა აღემატოს, მაგრამ, როგორც წარსულის წლის შემოსავლიდგან სჩანს, დღეში შვიდ-რვა მანათის ნაცვლად მანათიც არ შემოდის; ამ მცირე შემოსავლის გამო ვგონებ დიდხანს არ შეგვრჩეს ბუგეულებს ეს აფთიაქი; მაშინ გაუთენდება აღდგომა ხალხის მატყუარ სოფლის მკურნალ-მარჩიელ დედაკაცებს, რომლებიც არიან მიზეზნი დიდს, ცოტად თუ ბევრად შეძლებულ საზოგადოებაში დაარსებულ აფთიაქის მცირედის შემოსავლისა; მაშინ დღეში თითო კოკა წყალში გალესილ აგურ და მირტკბილის მაგიერ ორ-ორ კოკას გაასაღებენ და ფულსაც მეტს ჩაიჩხრიალებენ. ავადმყოფის ჭირისუფალს რომ ჰკითხოთ: რატომ აფთიაქიდგან არ გამოგაქვს წამალიო, ასე გიპასუხებთ: „შე დალოცვილო, აფთიაქში ერთი პატარა შუშა წამალი მანათია, მანათად სამ ბოთლ წამალს გამოვართმევ სოფლის მკურნალ დედაკაცს და ავადმყოფს ერთ თვეს ვუყოფაო“. ისინი წამლის რაოდენობას აქცევენ ყურადღებას და არა თვისებას.

წარსულის წლის ოქტომბერში ერთმა აჭაურმა გლეხმა უბრალო ჭრილობა მიიღო სალოკ თითზედ; დაჭრილმა მაშინვე მიჰმართა სოფლის მკურნალს და გაურიგდა ხუთ მანათად ჭრილობის მორჩენას. მატყუარა მკურნალმა რაღაც წამლების შემწეობით თვის განმავლობაში არამც თუ სალოკი თითი, ხუთივე თითი საუკუნოდ დაუჭამა და გამოასალმა საწყალი ხელს. დღეს თავსზარ დაცემულმა ცალხელა გლეხმა არ იცის, რა ჰქმნას, ვის მიჰმართოს. ვინ ჩამოსთვლის კიდევ, რამდენს სატანჯველში არა ვყევართ მკურნალ-მარჩიელთ, მაგრამ ვინ არის მშველელი.

ხმა დადის, რომ ყვავილის ამცრელი გიორგი საღარაძე, რომელიც უსასყიდლოდ უნდა უცრიდეს ხალხს, დაბრძანდება სოფლებში და თითო აცრაში ორ შაურს ახდევინებს გლეხებსაო. თუ ეს მართალია, კარგი იქნება ამ ამბავს ამბროლაურის ექიმი ბ-ნი ნადირაძე ყურადღებას მიაქცევდეს.

ბუგეულში გარდაიცვალა ერთი მოხუცებული დედაკაცი, როდესაც იმისათვის საფლავს სთხრიდნენ ოთხის მიცვალებულის თავი ამოიღეს მიწიდგან. სასაფლაო ისე არის სავსე მკვდრებით, რომ ეხლა ერთი მიცვალებულის გვამის დასამარხ ადგილსაც ვერ იშოვით. საჭიროა, სასაფლაოს გადიდება.

შაბათს, 14 თებერვალს, ღამის 11 საათზედ სოფელ გორისუბანში მცხოვრების გლეხი ნიკო მჟივნიშვილის სახლს ცეცხლი წაეკიდა. საბრალოს სახლი, ბოსელი და ერთი ძროხა დაეწვა. სახლისა და ბოსლის დაწვა ფარსადან გიორგობიანს ჰბრალდება, რომელიც პოლიციამ დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

იასონ ამირანაშვილი

**სოფ. ხოვლე.** დიდიხნის სურვილი აგვისრულდა და ნება-რთვა მოგვივიდა უფასო სამკითხველო წიგნთ-საცავის დაარსებისა. მოვლო ბოლო აჭაურს, ხოვლურს, აურ-ზაურს, მიხლა-მოხლას, მითქმა-მოთქმას და პატარა თავისუფლად ამოვისუნთქეთ. ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩვენის სამკითხველოს კეთილის მსურველებს. იმისდა მიუხედავად, რომ ნება-რთვა არა გვქონდა აღებული, თავისი წვლილი არავინ დაიშურა და შეძლებისა და გვარად შემწეობა აღმოუჩინეს, ზოგმა წიგნებით, ზოგმაც ფულით. უმორჩილესად ვთხოვთ ყველა წევრებს, რაც შეიძლონ, ის მოგვაშველონ დროზედ. აქამდის თუ იმითი შეიძლებოდა თავის გამართლება, რომ ნება-რთვა არა გვქვს აღებული, ეხლა ხომ ნება-რთვაც მოგვივიდა. იმედია, წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სიკეთის მსურველნი, რაც შეიძლება მალე მოგვაწვდიან ფულს, რადგან ბევრი რამე აქვს სამკითხველოს გასაკეთებელი, სახელდობრ: წიგნები უეჭველად უნდა დაიკაზმოს, საჭიროა სხვა-და-სხვა ჟურნალი გამოვიწეროთ, ხეირიანი შკაფი უნდა შევიძინოთ სამკითხველოს ოთახი უნდა მოვაწყოთ და სხვა... დიდის მადლობის ღირსია აქციზის მოხელე მიხეილ ალექსანდრეს ძე შანშიევი, რომელმაც დაათვალიერა ჩვენი წიგნთ-საცავ-სამკითხველო და რა ნახა სიღატაკე სამკითხველოსი, ერთი თუმანი გადასცა მარიამ დავითის ასულს ჯავახიშვილს სამკითხველოს სასარგებლოდ და სურვილიც განაცხადა სამკითხველოს წევრობისა.

აქ ამ ჟამად მოდებულია სახადი და სხვა გადამდები ავადმყოფობა. რასაკვირველია, დიდი გაფრთხილება და მოვლა უნდა, მაგრამ გლეხკაცს განა გარემოება ნებას აძლევს, რომ თავისს თავს გაუფრთხილდეს. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ამ სენის მსხვერპლი გახდა სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა გიორგა დულაშვილი, რომელსაც უმწეოდ დარჩა ხუთი შვილი და ახალგაზდა ცოლი. აქეთკენ ისეთი დიდი ყინვები იყო, რომ სოფ. ახალქალაქსა, ყარაღაჯსა, მეტეხსა, გრაკალს და დოესს გაზები სულ ერთიანად დასძრა.

22 თებერვალს ჩვენც გადავიხადეთ პანაშვიდი ჩვენის საყვარლის გმირის მეფე ერეკლეს სულის მოსახსენებლად.

შ. ჯავახიშვილი

# რუსეთი

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო მომავალ შემოდგომას მთელის რუსეთის ტყის მეურნეთა კრება იქმნეს გამართული ქ. სამარაში.

— საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ სასტატო ინსტიტუტების მოსწავლენი საზაფხულოდ ორის თვით იქმნენ ხოლმე დათხოვნილნი და არა ექვსის კვირით, როგორც აქამდის იყო მიღებულიო.

— უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ განმარტა, რომ სამღვდელოებამ იმპერატორის ალექსანდრე მე-III სახსოვრად მიღებული მედალი უბრალოდ უნდა აღნიშნონ სამსახურის სიაში და უკანასკნელ სახალხო აღწერის დროს გაწეულ შრომისათვის მიღებული მედალი-კი აღნიშნული უნდა იყოს, როგორც ჯილდოო.

— განზრავა აქვთ ზოგიერთ სამიწათ-მოქმედო სასწავლებელში ხორბლეულობის მარცვლის შესწავლა შემოიღონ ნორმალურ ნიმუშებით.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს ქ. ეკატერინოსლავის საერობო გამგეობა, რომ თუ შეიძლება დაჩქარებულ იქმნას ქ. ეკატერინოსლავში უმაღლესს სამთო სასწავლებლის დაარსების საქმის განხილვაო.

— ამ ჟამად გზათა საინჟენერო ინსტიტუტში, სხვათა შორის, დაარსებულ იქმნა სტიპენდია თავ. ნ. ნ. ბარათაშვილის სახელობაზედ.

— ოდესის საყასბოში სხვათა შორის დაჰკლეს თურმე ერთი ღორი, რომლის ნაწლევებშიაც იპოვნეს ბრინჯაოს ფული 1371—1378 წლის დროისა. ფულზედ პაპის გრიგოლ მე-XV-ის სახეა. ეს ფული მეტად იშვიათი და ძვირფასი რამ არის თურმე არხეოლოგთათვის.

— უმაღლესმა მთავრობამ დაადგინა გააუქმოს ის განკარგულება, რომლის ძალითაც არ შეიძლებოდა საალმზრდელო სახლების დაარსება საგუბერნიო ქალაქებში.

— ამ ჟამად პეტერბურგში იყიდება თურმე რკინის ფეხთ-საცმელები, რომელიც დაუმზადებიათ დონის სამხედრო ოლქის მცხოვრებელ ყაზახებს. ამ ფეხთ-საცმელს ძირი, წვერი და ქუსლი აქვს რკინისა და ადვილი სატარებელია თურმე.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** პარიჟის პოლიციამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, შეთქმულ ანარქისტთა კვალს მიაგნო. პოლიციამ ლიონსა, მარსელსა და მარსელში კიდევ დააპატიმრა რამდენიმე კაცი, რომელთაც უმბარის შემწეობით სამჯერ მოიწადინეს ფელიქს ფორის მოკვლა. ერთხელ თანხმობის მოედანზედ, სადაც ასაფეთქებელი უმბარა დაეგდოთ, როდესაც პრეზიდენტი ლონშანში მიდიოდა თანხმობის მოედანზედ, მეორედ მაჯენტის ბულვარზედ და მესამედ—რკინის გზის სადგურის მახლობლად. ეს უკანასკნელი უმბარა იპოვნეს აუფეთქებელი სწორედ იმ დღეს, რა დღესაც პრეზიდენტი რუსეთში წავიდა. როგორც უკვე უკელამ უწყის, არც ერთი უმბარათაგანი არ აფეთქებულა. უმბარებთან მუდამ პატარა ბარათიც ეგდო ხოლმე, რომელზედაც ეწერა: „გაუმარჯოს პოლონეთს!“ ამიტომ ამ საქმის ჩამდენს გაზეთები „მოხუცებულ პოლონელს“ ეძახდნენ. ჯერ არ იციან დაპატიმრებულთა შორის არის თუ არა ეს „მოხუცებული პოლონელი“, ხოლო ის-კი დაჭეშმარიტებით გაიგეს, რომ ერთი მათგანი უმბარებს ამზადებდა და თავის ამხანაგებს ურიგებდა. მეორე დაპატიმრებული ანარქისტი გამოტყდა, რომ თანხმობის მოედანზედ მე დავდე უმბარაო. უმთავრესი სადგომი დაპატიმრებულ ანარქისტებს ნელში ჰქონდათ. ამბობენ, რომ კიდევ ბევრს ანარქისტებს დააპატიმრებენო.

—

**ისპანია და ამერიკის შეერთებული შტატები.** ისპანიის ოფიციალური გაზეთი ,,Imporcial‘‘-ი სწერს: ,,მთავრობა მოელის ისპანიის იმ კომისიის დასკვნას, რომელსაც გემის „Maine“-საფეთქების მიზეზის გამოკვლევა აქვს მინდობილი. როგორც ისმის, კომისია ჯერ-ჯერობით იმ აზრისაა, რომ გემი გარედგან არის აფეთქებული, მაგრამ გინდა ამერიკის კომისია, რომელიც ამავე საქმეს იკვლევს, იმ დასკვნას დაადგეს, რომ აფეთქება გარედგან მოხდა, მაინც ისპანიის მთავრობა უოკველ ღონეს იღონებს, რომ ომი თავიდგან აიცილოს“. ამავე დროს იგივე გაზეთი სწერს: ,,კუბაში ამ ჟამად 82,000 შეიარაღებული თავისუფალი მეომარია, რომელნიც მზად არიან სამშობლოს გულისათვის უკანასკნელნი სისხლის წვეთი დაჰღვარონ. ისპანიას ომი არა ჰსურს, მაგრამ მაინც-და-მაინც თუ ომამდის მივიდა საქმე, ისპანიას სხვებიც აღმოუჩენენ შემწეობას. გარდა ამისა ისპანიას შეერთებულის შტატების სამფლობელოში გადასვლა სულაც არ დასჭირდება, საკმარისი იქმნება ამერიკის სავაჭრო გემები შეიპყრას, რომ ამერიკის ვაჭრობა ერთიანად დასცეს“. ამავე დროს შეერთებულ შტატების უმთავრეს ქალაქ „ნიუ-იორკიდგან დეპეშით იუწყებიან: ნიუ-იორკის ნავთ-სადგურში გაცხარებული მზადებაა ომისათვის. აუარებელ შეიარაღებულ ჯარის კაცებს ატლანტში მოუყრიათ თავი. იმ დღეს, რა დღესაც ომი იქმნება გამოცხადებული, ამერიკის შეერთებულ მთავრობას შეუძლიან 25,000 ჯარის კაცი გემებზედ დასხას და კუნძულ კუბაში გაისტუმროს‘‘.

—

**ინგლისი.** ლონდონის გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის აწინდელის სამინისტროს პრემიერი ლორდი სალისბიური მალიან ავად არისო. ექიმებმა ურჩიეს მინისტრს, რომ საქმეებზედ ხელი აიღე და საფრანგეთში წადი მოსარჩენადო. მარკიზი სალისბიური ეხლა მხოლოდ უმთავრეს დეპეშებსა კითხულობს, დანარჩენი საქმე ბალფურს გადასცა. შესაძლებელია, რომ სალისბიურმა სრულიად გაანებოს მინისტრობას თავი. როგორც გაზეთები იუწყებიან, სალისბიურის მოადგილედ დევონშირელ ჰერცოგსა და ლორდ კრომერს ასახელებენ.

## დამაკვირდი

ჭეშმარიტია ის სარწმუნოება, რომელიც თვისის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად საჭიროდ არა ჰხდის ყოველის სხვა სარწმუნოების მწვალებლობად აღიარებას.

ბიორნე

***

ქვეყნად რომ ერთად-ერთი სარწმუნოება იყოს, იგი დიდად ზვავი და სასტიკი იქნებოდა.

ფრიდრიხ მეორე

***

რომელმან იცოდის ნებაი-უფლისა თვისისა და არა ჰყოს, იგვემოს ფრიად.

მეფე დიმიტრი აღმაშენებელის ძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნიო-იორკში დაარსდა ახალი კლუბი, რომლის წევრებად იღებენ მხოლოდ ისეთს კაცებს, რომელთაც სიყვარულში ბედი არა ჰქონიათ. ამ კლუბის წევრები არიან: უცოლო კაცები, რომელთაც ცოლის შერთვა უნდოდათ, მაგრამ რომელი ქალიც მოსწონდათ, იმათგან უარი მიიღეს, ქმრები, რომელთაც ცოლებმა თავი დაანებეს და საყვარლები, რომელთაც საყვარლებმა უღალატეს. ამ კლუბის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა კაცი, რომელსაც ძლიერ უნდოდა ცოლის შერთვა, მაგრამ არც ერთი ქალი არ დასთანხმდა იმის ცოლობაზედ. პრეზიდენტის არჩევანების წინა დღეს ამ კაცმა ერთს ლამაზს ქალს სთხოვა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ ქალმა ცივი უარი სტკიცა. კაცი ცოტა არ იყოს დადარდიანდა, მაგრამ, რაკი ისეთი დიდი პატივი სცეს და პრეზიდენტად აირჩიეს, ცოტა არ იყოს დამშვიდდა და დარდი დაივიწყა. ამ კლუბის დამაარსებელი იმ აზრისაა თურმე, რომ დარდი და უბედურება ძლიერ აკავშირებს და ამეგობრებს დარდიანსა და უბედურ ხალხსაო.

***

მკითხველს მოეხსენება, რომ მეცნიერებისათვის დიდად გამოსადეგია რენტგენის სხივები. ამ სხივების შემწეობით შესაძლებელია, სხვათა შორის, მკურნალებმა თვალით დაინახონ, თუ ადამიანის სხეული დაავადებულია. საფრანგეთის მკურნალებმა კოლშმა და ბუანონმა პარიჟის სამკურნალო აკადემიას წარუდგინეს მოხსენება, რომლიდგანაც სჩანს, რომ მათ რენტგენის სხივების შემწეობით აღმოუჩენიათ ჭლექის ნიშნები, რომელიც ისეთს კაცებსა ჰქონიათ, რომ არავის არ მოუვიდოდა ფიქრად—ჭლექით არიან ავადაო. ამ მკურნალებს რენტგენის სინათლის შემწეობით ჯერ კარგად შეუსწავლიათ, როგორი ფილტვები აქვს სრულიად ჯან-საღ კაცს და მერე გაუსინჯავთ ფილტვები 124 კაცისათვის, რომლებიც სამკურნალოში ყოფილან. ამათში 51 კაცი ჭლექიანი აღმოჩენილა, თუმცა იმ ზომამდეკი არა ყოფილან შეპყრობილნი ამ სენით, რომ მკურნალებს შეეტყოთ. ზემოხსენებულის მოხსენების დამწერი მკურნალები უმტკიცებენ აკადემიას, რომ რენტგენის სხივებით ადამიანის გასინჯვას ამიერიდგან დიდი მნიშვნელობა ექმნებაო. სხვათა შორის კარგია ეს საშუალება ჯარში გასაყვან ახალგაზდა კაცთა გასინჯვისათვის, რადგანაც ჭლექიან კაცს ჯარში აღარ გაიყვანენ. ისიც ხომ ყველას მოეხსენება, რომ, თუმცა ჭლექის მორჩენა ძლიერ ძნელია და ზოგზს შეუძლებელ საქმეთაც მიაჩნია, მაგრამ თუ დროზედ გაიგო მკურნალმა, რომ ავადმყოფი ჭლექით არის შეპყრობილი, მაინც კიდევ ეშველება რამე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 მარტი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი, დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასული ძალიან კარგადა ჰგრძნობს თავსა.

**კოპენჰაგენი.** დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული 9 მარტს, საღამოს, აქ მობრძანდა. სადგურზედ დახვდა მეფე მეუღლითუთრ. სადგურიდგან ამალიენბორგი სასახლეში წაბრძანდნენ.

**ალჟირი.** რეჟისის დაპატიმრების გამო, ანტისემიტთა მოძრაობის მეთაურთ, რიცხვით 800 კაცმა, დემონსტრაცია მოახდინეს და მაღაზიები დაამტსრიეს. ჯარმა გაჰფანტა მანიფესტანტები.

**კონსტანტინეპოლი.** პორტას მეცადინეობას კრიტის გუბერნატორად ოსმალეთის ქვეშევრდომის დანიშვნის შესახებ ხუთი დიდი სახელმწიფო არა სასურველის პასუხით მიეგება.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ფუქსი პრეზიდენტად იქმნე არჩეული. როდესაც ფუქსი სიტყვას ამბობდა, ვოლფმა და შენერერმა გააწყვეტინეს და შეურაცხმყოფელი სიტყვები უთხრეს.

**ნიუ-იორკი.** გაზ. „ჰერალდი“ იუწყება, რომ მაკ-კინლეის ნამდვილი ცნობები აქვს იმის შესახებ, რომ გემი „მენ“-ი გარედგან არის აფეთქებულიო. ამ ჟამად ამის შესახებ ნოტას ადგენენ ისპანიაში გასაგზავნად. დეპეშით იმავე გაზეთს ჰავანიდგან ამის შესახებვე ატყობინებენ. პირველი ოფიციალური მიზეზი იმისა,—ნათქვამია დეპეშაში,— რომ აფეთქება გარედგან მოხდა და რომ ამავე აზრისაა კომისია ის არის, რომ „მენ“-ის უფროსმა სიგსბიმ სახელმწიფო სამსახურში დარჩენის მიწერილობა მიიღო. თუ რომ კომისიის მოხსენება სხვას ამბობდეს სიგსბის სამხედრო სამართალში მისცემდნენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემწეობა გამოუჩინეს ასკანის წიგნთ-საცავს შემოწირულებანით. სია შემომწირველთა: ივლიანე ქეიშვილი 10 მან., ტარასი ჩხაიძე 9 მან., ვლადიმერ ნაცვალაძე 6 მან., ნინო ასათიანისამ 5 მ. 33 კ., მღ. სარდიონ ჯინჭარაშვილი 5 მ., ბესარიონ თალაკვაძე 5 მ., ნანიკო ქეიშვილი 5 მ., ვლადიმერ სიამაიშვილი 4 მ. 87 კ., ყარამან ნინიძე 4 მ. 42 კ., დიომიდე ქეიშვილი 4 მ. 17 კ., ელისაბედ, თეკლე, ნინო და ელენე ქეიშვილნი 4 მ., ივლიანე შევარდნაძე 2 მ., ივლიანე ნემსაძე 2 მ., თომა ქელიძე 1 მ. 28 კ., მელიტონ ქეიშვილი 1 მ. 26 კ., მინა ნანაძისა 1 მ., ივანე კალანდაძე 1 მ., მირიან რამიშვილი 1 მ., ანნა თავზერიძისა 1 მ., ახინეთი შარაშიძე 1 მ., ფეოდოსი ვასაძისა 1 მ., ბარნაბა თალაკვაძე 1 მ., ატლია დოლიძე 1 მ., პავლე ასათიანი 60 კ., სილოვან თალაკვაძე 93კ., ასკანის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისაგან 3 მ. 4 კაპ., გიორგი შევარდნაძემ წიგნი „გიორგი სააკაძე და მისი დრო“. 1 მ. 20 კ.

წიგნთ-საცავის გამგე ს. ქეიშვილი

—

ღრმეს მადლობას უძღვნიან კონდოლის სასწავლებლის პაწია მკითხველნი ქ-ნს ოლღა გუბელაძისას, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია ატკბობს მათს სმენას ჟურნალ „ჯეჯილის“ გზავნით.

კონდოლის მასწავლებელი გ. ს.

## განცხადებანი


### ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.
(წ.)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 17 **მარტს, დღის 1 საათზედ გამგეობის დარბაზში საჯარო ვაჭრობაა დანიშნული იმ დუქნებისა და სარდაფების იჯარით გასაცემად**, რომლებიც გოლოვინის პროსპექტზეა (მიოევისეული სახლი). დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, დღის 12 საათიდგან 2 საათამდის. (3—6.—2).

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა საღარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | › | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Бутквва 3 т. . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновител Жорданія- . . | | 30 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Марта 1898 г.    სტამბა მ. შარაძისა და ა მხახაგობისა.    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.